



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება N121

2013 წლის 13 აგვისტო

ქალაქი ხაშური

შეშით მოვაჭრე ავტომანქანებისათვის პარკირების ადგილის განსაზღვრის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 აპრილის N 37 დადგენილების „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების განსაზღვრის შესახებ“ 24-ე მუხლის შესაბამისად

1. დამტკიცდეს შეშით მოვაჭრე ავტომანქანების პარკირებისათვის ადგილი ხაშურის „ივერიის“ სტადიონის მიმდებარედ, აღმოსავლეთის მხრიდან. (თანდართული ნახაზის შესაბამისად)
2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, ჭოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავჯდომარე



დავით ლომიძე